საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

ნათია მერაბიშვილის

მოსამართლეობის კანდიდატის ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	87	100

სახელი, გვარი: **გოგა კიკილაშვილი**

თარიღი: 29 / 04 / 2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

არამოსამართლე წევრი

გოგა კიკილაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

ნათია მერაბიშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. „საბჭოს“ 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ნათია მერაბიშვილიც (შემდგომში - „კანდიდატი“).

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „კანონის“ 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 24 აპრილს, ჩემი მონაწილეობით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შევაფასე - „კანონის“ 35^1 მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ:

2.1. „საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

2.1.1. ,,კანდიდატი" 42 წლისაა, უმაღლესი იურიდიული განათლებით (მაგისტრი, თსუ). მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩააბარა 2005 წელს, საერთო სპეციალიზაციით. ასევე, 2004 წელს ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაც.

სპეციალობით მუშაობს 19 წელია, მათ შორის - მოსამართლეა 12 წელი, კერძოდ:

- ✓ 2005 წელს ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას; შემდეგ - მუშაობდა ახალციხის საგადასახადო ინსპექციაში, სპეციალისტის თანამდებობაზე;
- ✓ 2005-2011 წლებში იყო სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის უფროსი გამომძიებელი;
- ✓ 2011-2012 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი;
- ✓ 2012 წლიდან განწესდა მოსამართლედ და სამოსამართლო უფლებამოსილებას ასრულებდა: 2012-2019 წლებში - ახალციხის რაიონულ სასამართლოში; 2019-2022 წლებში - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში; 2022 წლიდან დღემდე - თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

2.1.2. წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები ,,კანდიდატს" დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

2.1.3. ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია ,,კანდიდატის" მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. ,,კანდიდატი" სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და ძემომწირველი.

2.1.4. ,,კანდიდატს" სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. მის სახელზე რეგისტრირებულია უძრავი ქონება: ბინა - 79.54 m^2 და ავტოფარეხი 22 m^2 ფართით ქალაქ თბილისში; უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. ,,კანდიდატი" მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

2.1.5. ,,კანდიდატი" ,,საანგარიშო პერიოდში" 6-ჯერ დაჯარიმდა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მხარის სტატუსით არ მიუღია მონაწილეობა; დაზარალებულად რაიმე სისხლის სამართლის საქმეში არ ყოფილა ცნობილი; მის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

2.1.6. ,,საანგარიშო პერიოდის" მონაცემებით, კანდიდატმა:

ა) საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაიცვა საქმეთა 94% შემთხვევებში; ხოლო გადაწყვეტილების მომზადების ვადები დაიცვა საქმეთა 60.4% შემთხვევებში;

ბ) ,,კანდიდატის" გადაწყვეტილებები, გასაჩივრების შემდეგ, დარჩა უცვლელი საქმეთა 90.5% შემთხვევებში.

2.1.7. ,,კანდიდატმა", სამართლებრივი დოკუმენტების სახით შესაფასებლად, წარმოადგინა მიერ ძიერ გამოტანილი 4 გადაწყვეტილება. მათი შესწავლით გავარკვიე, რომ ,,კანდიდატი" ხშირად იყენებს რთულ წინადადებებს, ასევე - გვხვდება ხარვეზები სასვენი ნიშნების გამოყენებასთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილებებში პრაქტიკულად არ არის გამოყენებული სამეცნიერო წყაროები, არგუმენტაციის გასამყარებლად, უპირატესად მოშველიებულია მხოლოდ სასამართლო პრაქტიკა. ვისურვებდი ამ კომპონენტის შევსებასაც საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ მოქმედი მაღალი სტანდარტის შესაბამისად, ისეთი ფორმით და მოცულობით, რომ არ გადაიტვირთოს სასამართლო გადაწყვეტილება დიდი და რთული ტექსტებით და არ შეიქმნას მხარეების მიერ გადაწყვეტილების შინაარსის აღქმის პრობლემა.

2.1.8. ,,კანდიდატმი" ხშირად იღებდა მონაწილეობას სასწავლო ხასიათის ღონისძიებებში (მაგ: 2-დღიანი საპილოტე ტრენინგი გაეროს შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციასთან დაკავშირებით; 2-დღიანი სემინარი თემაზე: „ევროპული აკრედიტაციის სისტემა, ცხობიერების ამაღლება მოსამართლეებისათვის"; 1-დღიანი სემინარი თემაზე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები - სამოქალაქო/ ადმინისტრაციული სამართლის მიმართულება"; 2-დღიანი სემინარი თემაზე „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა" და ა.შ.).

2.1.9. კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

2.1.10. ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

2.2.1. ,,კანდიდატის" საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ხელმისაწვდომია ბმულზე:

https://www.youtube.com/watch?v=NNv0N2Xym4I

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატს ,,საბჭოს" წევრებმა დაუსვეს ზოგადი და სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული, თუმცა გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები, კერძოდ:

2.2.2.1. ვერ გაიხსენა განაჩენის გადასინჯვის საფუძვლები;

2.2.2.2. ვერ შეძლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-17 და მე-18 მუხლებით გათვალისწინებული აკრძალვების არსის ახსნა;

2.2.2.3. ვერ შეძლო ემსჯელა სხვა სახელმწიფოს მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევაზე პასუხისმგებელი სუბიექტის შესახებ და ა.შ.

2.2.2.4. სრულად ვერ ჩამოთვალა კანონიერი ნდობის გამომრიცხავი გარემოებები.

2.2.2.5. კანდიდატს გაუჭირდა პასუხის გაცემა განაჩენის გადასინჯვის საფუძვლებთან დაკავშირებულ ძეკითხვაზე, ასევე ვერ ისაუბრა სისხლის სამართლის საქმეზე კორუფციული და სამოხელეო დანაშაულების გამოძიებისას ფარული საგამოძიებო მოქმედებების როლსა და მნიშვნელობაზე, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143-ე მუხლში (ფარული საგამოძიებო მოქმედებები) ბოლო პერიოდში შესული ცვლილებების შესახებ.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;

ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;

გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;

ე) ფინანსური ვალდებულება – მხოლოდ სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის ან რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლის შეფასების შემთხვევაში.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი და აკმაყოფილებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს, თუ შემფასებლის ხელთ არ არის წარმოდგენილი ამ პრეზუმფციის გაქარწყლებისათვის საჭირო სათანადო და სანდო ინფორმაცია.

3.2. საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული ინფორმაციის[1] ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, შემდეგი:

3.2.1. „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებლით - **„პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი"** შეფასების დროს კანდიდატის მიმართ მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ვიდრე სათანადო და სანდო მონაცემთა ერთობლიობით არ დადასტურდება საწინააღმდეგო, კანდიდატი აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

„კანონის" 35[1] მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრება ზემოხსენებული კრიტერიუმის კომპონენტები: „კანდიდატის", როგორც მოსამართლის და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა

---

[1] იხ. წინამდებარე შეფასების მე-2 პუნქტი.

გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა, აგრეთვე, სიმართლისმოყვარეობა.

შეფასების პროცესში გამოიკვეთა, რომ „კანდიდატს" სამი წლის განმავლობაში უფიქსირდება 6 სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, რაც შეიძლება ეჭვქვეშ აყენებდეს ზემოაღწერილ პრეზუმფციას, თუმცა მხოლოდ ეს გარემოება ვერ ჩაითვლება პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის ეჭვქვეშ დაყენებისთვის წონად გარემოებად.

ვინაიდან მოძიებული ინფორმაციის შესწავლის და მოსმენის შედეგების შეფასების შედეგად არ იკვეთება გარემოება, ან/და ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმფციას, რომ „კანდიდატი" აკმაყოფილებს ყველა ზემოხსენებულ კომპონენტს, მიმაჩნია, რომ იგი აკმაყოფილებს „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.

3.2.2. მოძიებული ინფორმაციის შესწავლის და მოსმენის შედეგად შემექმნა შთაბეჭდილება, რომ „კანდიდატი" არის დამოუკიდებელი და პრინციპული პიროვნება, ავლენს ზეგავლენის მიმართ მედეგობას და პიროვნული სიმტკიცეს.

შესაბამისად, მიმაჩნია, რომ „კანდიდატი" აკმაყოფილებს „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ[2] **„დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის"** მახასიათებელს.

3.2.3. „კანდიდატი" კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, არის თავდაჭერილი და კორექტულია, აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკას, აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი. ამიტომ, დავრწმუნდი, რომ ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მიმაჩნია, რომ „კანდიდატი" აკმაყოფილებს „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ[3] **„პიროვნული და პროფესიული ქცევის"** მახასიათებელს.

3.2.4. „კანდიდატს" აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებში. მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად არ გამოიკვეთა ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება, ან გარემოება.

ზემოაღნიშნული მაძლევს საშუალებას მივიჩნიო, რომ „კანდიდატი" აკმაყოფილებს „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ[4] **„პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის"** მახასიათებელს.

---

[2] კომპონენტები განისაზღვრება იმავე მუხლის მე-5 პუნქტით.
[3] კომპონენტები განისაზღვრება ამავე მუხლის მე-6 პუნქტით.
[4] კომპონენტები განისაზღვრება ამავე მუხლის მე 7 პუნქტით.

3.2.5. „კანდიდატის" საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული აქტივების, შემოსავლის ოდენობის, შემოსავლის წყაროს და ნაკისრი ვალდებულებების ანალიზის შედეგად მიმაჩნია, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი" აკმაყოფილებს „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ[5] „**ფინანსური ვალდებულების**" მახასიათებელს.

3.2.6. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან „კანდიდატი" აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელს, გავაკეთე „კანონის" 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა, რომ **„კანდიდატი" სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს**.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის" შეფასება ეფუძნება საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული დოკუმენტური მასალების (იხ. ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზს, რის შედეგადაც შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით მივედი შემდეგ დასკვნამდე:

*4.1.1. „კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - **„სამართლის ნორმების ცოდნა"**[6] მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის" 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ქულას.*

მოსმენის შედეგებისა, კანდიდატის მიერ დაფიქსირებული პასუხების ხარიხის და შეფასების 2.2.2 პუნქტში დაფიქსირებული ხარვეზების გათვალისწინებით, „კანდიდატს" გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საკმაოდ კარგი ცოდნა.

*ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სამართლის ნორმების ცოდნის" კომპონენტში „კანდიდატს" ვაფასებ **17** ქულით.*

*4.1.2. „კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის **„სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია"**[7] მაქსიმალური შეფასება „კანონის" 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ქულას.*

„კანდიდატს" გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი და მოსამართლედ მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილებაც. მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი

---

[5] კომპონენტები განისაზღვრება ამავე მუხლის მე-8 პუნქტით.
[6] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-9 პუნქტით.
[7] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-10 პუნქტით.

გადაწყვეტილებები ძირითადად დასაბუთებული და დამაჯერებელია. მოსმენის ეტაპზე „კანდიდატის" მხრიდან ნაკლებად გამოვლინდა სამართლებრივი დასაბუთების უნარები, მისი მსჯელობა იყო ძალიან ფართო, ზოგიერთ შემთხვევაში შეეხო კითხვის არსიდან გამომდინარე ნაკლებად არსებით საკითხებს, რამაც გავლენა მოახდინა პასუხის ხარისხზე. კანდიდატმა ზოგადი თეორიული მსჯელობის და სამართლის ინსტიტუტების კონვენციური განმარტების დროს უფრო კარგად წარმოაჩინა საკუთარი თავი, ვიდრე ცალკეული პრაქტიკული მნიშვნელობის პრობლემების შეფასების დროს.

*„სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის" კომპონენტით „კანდიდატს" ვაფასებ **17** ქულით.*

4.1.3. *„კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - **„წერის უნარი"** [8] მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის" 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად განისაზღვრება 20 ქულით.*

„კანდიდატს" აქვს მოსამართლედ მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილება, ასევე ავლენს კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარს. შეფასების დროს გავითვალისწინე 2.1.7 პუნქტში მითითებული მონაცემები.

*„წერის უნარის" კომპონენტით „კანდიდატს" ვაფასებ **17** ქულით.*

4.1.4. *„კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - **„ზეპირი კომუნიკაციის უნარი"**[9] მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის" 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 15 ქულას.*

„კანდიდატი" გამართულად მეტყველებს, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს ლოგიკურად, ღიაა და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით. მოკლე და სწორხაზოვანი პასუხებისგან თავს იკავებს, მსჯელობის დროს იშველიებს სასამართლო პრაქტიკას და ვრცლად მიმოიხილავს ყველა წყაროს, თუ გარემოებას, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს განსახილველ საკითხს, რაც შესაძლოა, შემაფერხებელი იყოს მსმენელისთვის, რომ ზუსტად და ნათლად გაიგოს პასუხის არსი.

*„ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს" ვაფასებ **13** ქულით.*

4.1.5. *„კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი **„პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)"**[10] ამავე „კანონის" 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმეტეს 15 ქულით.*

„კანდიდატი" პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია, აღჭურვილია კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევებით; საქმეს ამზადებს ჯეროვნად და სათანადო

---

[8] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.
[9] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.
[10] კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-12 პუნქტით.

პასუხისმგებლობით; მისი ქცევა სასამართლო დარბაზში ასევე არის სათანადო, რის გამოც ის სასამართლო სხდომას წარმართავს კარგად, გადაწყვეტილებასაც იღებს დაუხმარებლად და დამოუკიდებელი აზროვნების საფუძველზე; აქვს სტრესულ სიტუაციაში სწრაფად მუშაობის კარგი უნარი, რის გამოც არის პროდუქტიული და ზედმიწევნით იცავს საპროცესო ვადებს. ასევე გასათვალისწინებელია მონაცემი გადაწყვეტილებათა სტაბილურობის შესახებ.[11]

*„პროფესიული თვისებების (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)" მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს" ვაფასებ **14** ქულით.*

4.1.6. *„კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი **„აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა"** ამავე „კანონის" 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „3" ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმეტეს 5 ქულით.*

„კანდიდატი" პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს, ავლენს ინტერესს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაზე, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. კანდიდატი ამ ეტაპზე არ ეწევა აკადემიურ საქმიანობას.

*„აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს" ვაფასებ **5** ქულით.*

4.1.7. *„კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი **„პროფესიული აქტივობა"** ამავე „კანონის" 35[1] მუხლის მე-17 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმეტეს 5 ქულით.*

„კანდიდატი" ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, თუმცა საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად, ახდენს განსახილველი საკითხების ინიციირებას. კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო ან/და პედაგოგიურ საქმიანობას.

*„პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს" ვაფასებ **4** ქულით.*

*4.2. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, „კანდიდატს" ჯამურად ვაფასებ 87 ქულით.***

ხელმოწერა:

[11] იხ. წინამდებარე შეფასების 2.1.6. პუნქტი.